

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-5

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

8

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ძირითადი საქმიანობა	10
2.	მომზადების საფუძველი	10
3.	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	22
5.	ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	23
6.	რეალიზაციის თვითღირებულება	23
7.	საერთო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	23
8.	წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	24
9.	ძირითადი საშუალებები	25
10.	აქტივის გამოყენების უფლება	26
11.	მარაგები	26
12.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
13.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
14.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
15.	მიღებული სესხები	28
16.	საიჯარო ვალდებულებები	29
17.	პირობითი ვალდებულებები	29
18.	ფინანსური რისკები	30
19.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	33
20.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლების სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღებით დასრულებული წლებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნის (ე) ქვეპუნქტში არის განხილული, კომპანიამ გარკვეული ფინანსური ვალდებულებები (სესხები) უნდა დაფაროს 2020 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო თარიღიდან 1 წლიან პერიოდში. კომპანიამ ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის ვერ შეძლო აღნიშნული სესხების რეფინანსირება და ვერც დაფინანსების სხვა საშუალებების გამოძებნა. კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის 4,650,101 ლარი შეადგინა (2019: 4,859,451 ლარი) და კომპანიის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მოკლევადიან აქტივებს 20,100,374 ლარით (2019: 17,782,758 ლარით) გადააჭარბა. ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ადეკვატურად არ არის განმარტებული ეს საკითხი.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 19 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 19 ნოემბერი

თბილისი, საქართველო



შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	5	52,153,251	52,111,949
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(45,011,273)	(47,991,971)
საერთო მოგება		7,141,978	4,119,978
საერთო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,606,303)	(4,944,394)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		2,535,675	(824,416)
წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		193,119	88,294
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	8	(5,528,660)	(2,563,279)
ფინანსური ხარჯი	15	(1,850,235)	(1,560,050)
ზარალი დაბეგვრამდე		(4,650,101)	(4,859,451)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(4,650,101)	(4,859,451)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(4,650,101)	(4,859,451)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს:

თევდორე ფარცვანია

დირექტორი

ნიკოლოზ გაბადაძე

ფინანსური მენეჯერი

დართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	5	52,153,251	52,111,949
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(45,011,273)	(47,991,971)
საერთო მოგება		7,141,978	4,119,978
საერთო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,606,303)	(4,944,394)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		2,535,675	(824,416)
წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		193,119	88,294
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან	8	(5,528,660)	(2,563,279)
ფინანსური ხარჯი	15	(1,850,235)	(1,560,050)
ზარალი დაბეგვრამდე		(4,650,101)	(4,859,451)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(4,650,101)	(4,859,451)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(4,650,101)	(4,859,451)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს:


 თევდორე ვარცვანია

დირექტორი


 ნიკოლოზ გაბადაძე

ფინანსური მენეჯერი

დართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	20,233,620	21,089,587	21,645,033
არამატერიალური აქტივები		68,916	76,982	53,386
აქტივის გამოყენების უფლება	10	178,650	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,481,186	21,166,569	21,698,419
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	11	3,302,405	6,748,780	3,116,960
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	5,829,863	2,833,768	2,169,432
საგადასახადო აქტივი წმინდა		677,187	1,421,536	1,600,645
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	2,605,628	615,066	1,280,267
სულ მიმდინარე აქტივები		12,415,083	11,619,150	8,167,304
სულ აქტივები		32,896,269	32,785,719	29,865,723
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	15	12,133,422	10,486,320	9,746,692
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		12,133,422	10,486,320	9,746,692
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	10,603,080	10,366,009	7,556,836
საიჯარო ვალდებულებები	16	219,685	-	-
მიღებული სესხები	15	21,692,692	19,035,899	14,805,255
სულ მიმდინარე ვალდებულებები		32,515,457	29,401,908	22,362,091
სულ ვალდებულებები		44,648,879	39,888,228	32,108,783
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		9,280,740	9,280,740	9,280,740
დაგროვილი ზარალი		(21,033,350)	(16,383,249)	(11,523,800)
სულ კაპიტალი		(11,752,610)	(7,102,509)	(2,243,060)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32,896,269	32,785,719	29,865,723

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს:

თევდორე ფარცვანია

დირექტორი

ნიკოლოზ გაბადაძე


ფინანსური მენეჯერი

დართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	20,233,620	21,089,587	21,645,033
არამატერიალური აქტივები		68,916	76,982	53,386
აქტივის გამოყენების უფლება	10	178,650	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,481,186	21,166,569	21,698,419
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	11	3,302,405	6,748,780	3,116,960
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	5,829,863	2,833,768	2,169,432
საგადასახადო აქტივი წმინდა		677,187	1,421,536	1,600,645
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	2,605,628	615,066	1,280,267
სულ მიმდინარე აქტივები		12,415,083	11,619,150	8,167,304
სულ აქტივები		32,896,269	32,785,719	29,865,723
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	15	12,133,422	10,486,320	9,746,692
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		12,133,422	10,486,320	9,746,692
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	10,603,080	10,366,009	7,556,836
საიჯარო ვალდებულებები	16	219,685	-	-
მიღებული სესხები	15	21,692,692	19,035,899	14,805,255
სულ მიმდინარე ვალდებულებები		32,515,457	29,401,908	22,362,091
სულ ვალდებულებები		44,648,879	39,888,228	32,108,783
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		9,280,740	9,280,740	9,280,740
დაგროვილი ზარალი		(21,033,350)	(16,383,249)	(11,523,800)
სულ კაპიტალი		(11,752,610)	(7,102,509)	(2,243,060)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32,896,269	32,785,719	29,865,723

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს:


 თევდოშე ფარცვანია
 დირექტორი


 ნიკოლოზ გაბადაძე
 ფინანსური მენეჯერი

დართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,280,740	(11,523,800)	(2,243,060)
სულ წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(4,859,449)	(4,859,449)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,280,740	(16,383,249)	(7,102,509)
სულ წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(4,650,101)	(4,650,101)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,280,740	(21,033,350)	(11,752,610)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს:

თევდორე ფარცვანია

დირექტორი

ნიკოლოზ გაბადაძე

ფინანსური მენეჯერი

დართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,280,740	(11,523,800)	(2,243,060)
სულ წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(4,859,449)	(4,859,449)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,280,740	(16,383,249)	(7,102,509)
სულ წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(4,650,101)	(4,650,101)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,280,740	(21,033,350)	(11,752,610)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს:



თევდორე ფარცვანია
დირექტორი



ნიკოლოზ გაბადაძე
ფინანსური მენეჯერი

დართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(4,650,100)	(4,859,450)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9;10	1,370,470	1,291,668
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	9	676	3,140
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება	12	232,264	343,624
ფინანსური ხარჯი	15	1,823,188	1,593,687
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან		5,528,660	2,563,279
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		4,305,157	935,948
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე			
(ზრდა)/ შემცირება მარაგებში		3,446,372	(3,631,822)
შემცირება საგადასახადო აქტივში		744,352	179,112
(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(3,225,497)	(1,006,622)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,070,178)	2,300,676
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		4,200,206	(1,222,709)
პროცენტამდე და დაბეგვრამდე			
გადახდილი პროცენტი	15	(1,384,329)	(1,185,425)
წმინდა ფულის დაგენერება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		2,815,877	(2,408,134)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(462,451)	(731,376)
არამატერილური აქტივების შეძენა		-	(31,582)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(462,451)	(762,958)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხის დაფარვა	15	(10,965,711)	(4,534,535)
სესხის აღება	15	10,617,892	7,151,386
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის გადახდა	16	(20,396)	-
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება / (გადინება) საფინანსო საქმიანობიდან		(368,215)	2,616,851
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა შემცირება		1,985,211	(554,241)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		5,351	(110,961)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	615,066	1,280,267
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	2,605,628	615,066

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს:

თევდორე ფარცვანია

დირექტორი

ნიკოლოზ გაბადაძე

ფინანსური მენეჯერი

დართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან წლის ზარალი		(4,650,100)	(4,859,450)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9;10	1,370,470	1,291,668
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	9	676	3,140
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება	12	232,264	343,624
ფინანსური ხარჯი	15	1,823,188	1,593,687
წმინდა ზარალი საკუროს სხვაობიდან		5,528,660	2,563,279
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		4,305,157	935,948
(ზრდა)/ შემცირება მარაგებში		3,446,372	(3,631,822)
შემცირება საგადასახადო აქტივში		744,352	179,112
(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(3,225,497)	(1,006,622)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,070,178)	2,300,676
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და დაბეგვრამდე		4,200,206	(1,222,709)
ფინანსური ხარჯი	15	(1,384,329)	(1,185,425)
წმინდა ფულის დაგენიერება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		2,815,877	(2,408,134)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(462,451)	(731,376)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(31,582)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(462,451)	(762,958)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხის დაფარვა	15	(10,965,711)	(4,534,535)
სესხის აღება	15	10,617,892	7,151,386
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის გადახდა	16	(20,396)	-
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება / (გადინება) საფინანსო საქმიანობიდან		(368,215)	2,616,851
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა შემცირება		1,985,211	(554,241)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		5,351	(110,961)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	615,066	1,280,267
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	2,605,628	615,066

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს:


 თევდორე ფარცვანია

დირექტორი


 ნიკოლოზ გაბადაძე

ფინანსური მენეჯერი

დართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2012 წლის 31 აგვისტოს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 404956286.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შპს რეინოსო, რომელიც მესაკუთრეც თავის მხრივ არის შპს „ტრიმექს ბიზნეს“-ი.

შპს „ტრიმექს ბიზნეს“-ის მფლობელები არიან:

	წილი
დიმიტრი აბდუშელიშვილი	50%
მერაბ ჩიხრაძე	22%
	100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ცემენტის წარმოება-რეალიზაცია. კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N34, თბილისი, საქართველო. კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი N45.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის თევდორე ფარცვანია.

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („სბსს“) მიერ და რომელიც ძალაშია 2020 საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან ფასს-ზე გადასვლას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა:

- ფინანსური აქტივებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის შეფასებისა.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე.

(ე) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას კომპანიამ გაითვალისწინა თავის პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნა, დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და კომპანიის სამომავლო გეგმები. უნა აღინიშნოს, რომ კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი სასესხო დავალიანებები რომელთა გასტუმების ვადა არის მოახლოებული, კერძოდ 21,692,692 ოდენობის ლარის სესხი უნდა დაიფაროს 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა რომ მოხდება არსებულ სესხების გადავადება და გამსესხებელთან შეძლებს მოლაპარაკებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019	1 იანვარი, 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	4.0233	3.2095	3.0597
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2020	2019	
1 USD/GEL	3.1097	2.8192	
1 EUR/GEL	3.5519	3.1553	

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავალი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალის - ცემენტის რეალიზაცია.

ამონაგებს მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემისას მომხმარებელზე იმ ღირებულებით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის გადახდასაც კომპანია მოელის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება.

ამონაგების აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

ამონაგები განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. ამონაგები მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან

კომპანია ახდენს სამშენებლო მასალის - ცემენტის რეალიზაციას მომხმარებლებზე. აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციიდან შესასრულებელი ვალდებულება სრულდება იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადადის მომხმარებლებზე, ზოგადად მიწოდების დროს და იმავე პერიოდში აღიარებს შემოსავალს.

კომპანიას არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

(გ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულ პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(დ) დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ ზოგადად ამოღებულია გამომსვლელი დღგ-ს მიმართ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

(ე) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა: ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვეითებით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივი მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილი უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებიდან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გარდა საგადასახადო შეღავათებისა, რომლებიც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(ვ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი ან ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8 წელი
ოფისის აღჭურვილობა	4 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და, თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

(ზ) არამატერიალური აქტივი

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივ ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

არამატერიალური აქტივი	სასარგებლო პერიოდის ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	5 წელი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) არამატერიალური აქტივი (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

(ი) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(კ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია). ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

(ლ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავაპირველად აღიარებული აგარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	361 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	50%	100%

კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინტესტუმენტების მიმართ ჯგუფი აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

(მ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9-ის შესაბამისად.

(ნ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღრიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

(ო) მიღებული სესხები

მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შემენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას მიღებული სესხები აქვს ფინანსური ინსტიტუტებიდან ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად. დამატებითი დეტალები მიღებული სესხების შესახებ განხილულია მე-16 შენიშვნაში.

(პ) იჯარები

კომპანია აფასებს ხელშეკრულების დაწყებისას ხელშეკრულებას, არის თუ არა იგი მთლიანად იჯარა ან შეიცავს თუ არა იჯარას, ანუ, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იდენტიფიცირებული აქტივის სარგებლობის კონტროლის უფლებას პერიოდის განმავლობაში.

კომპანიის როგორც მოიჯარე

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(პ) იჯარები (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

საიჯარო ვალდებულება

იჯარის ვადის დაწყების თარიღით, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებას რომლებიც იზომება საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებაში, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს საიჯარო ვადის განმავლობაში. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს და თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადახდები აგრეთვე მოიცავს შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად საწრმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის გამოყენების უფლების გამოყენებას. იჯარის გადახდების დღევანდელი ღირებულების გაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების პერიოდისთვის, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეუძლებელია. როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივი

კომპანია იყენებს მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით აღიარებიდან განთავისუფლებას იმ საიჯარო ხელშეკრულების მიმართ რომელთა ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს და არ მოიცავს საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას. კომპანიას მსგავსი ტიპის საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შენობა-ნაგებობების იჯარისთვის. იგი ასევე იყენებს იჯარის აღიარების

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(პ) იჯარები (გაგრძელება)

განთავისუფლებას იმ იჯარების მიმართ, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს, რომელთა და მსგავსი ტიპის საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შენონების იჯარისთვის.

(ჟ) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამუშნებისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კოტრიბუციას. კაპიტალში არაფულადი შენატანის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება აკუმულირებულ ზარალში.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

(რ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ს) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ს) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები (გაგრძელება)

- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(ტ) რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ანდ გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. რეალური ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება:

- მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- მოცემული აქტივის, ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულება ისეთი დაშვებების გამოყენებით უნდა შეფასდეს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, თუკი იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

კომპანია იყენებს რეალური ღირებულების ისეთ მეთოდს, რომელიც მოცემული გარემოების შესაფერისია და რომლისთვისაც საკმარისი მონაცემები არსებობს რეალური ღირებულების შესაფასებლად. კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით;
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

(უ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(უ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ანაზღაურებები

კომპანიას დანერგილი აქვს ფასს-9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით, რომლებიც დაკორექტირებულია მიმდინარე და

მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მგრძნობიარეა გარემოებათა ცვლილებებისა და ეკონომიკური პირობების პროგნოზირების მიმართ.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის 2020 და 2019 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
შემოსავალი ცემენტის რეალიზაციიდან	52,111,637	52,077,232
სხვა შემოსავალი	41,614	34,717
სულ შემოსავალი	52,153,251	52,111,949

კომპანიის სრული რეალიზაცია 2020 და 2019 წლებისთვის განხორციელებულია საქართველოში. პროდუქციის შინაარსიდან გამომდინარე, კომპანია შესასრულებელი ვალდებულების შესრულებას ანხორციელებს დროის გარკვეულ მომენტში და შესაბამისად აღიარებს ამონაგებს.

6. რეალიზაციის თვითღირებულება

გაყიდვის თვითღირებულება 2020 და 2019 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
გაყიდული საქონელი	40,863,107	43,760,432
ცვეთა	1,951,306	2,173,937
კომუნალური ხარჯი	1,251,283	1,221,916
შრომის ანაზღაურება	570,200	422,229
მიმდინარე რემონტის ხარჯი	319,157	353,347
საწვავის ხარჯი	38,363	47,187
სხვა ხარჯი	17,857	12,923
სულ თვითღირებულება	45,011,273	47,991,971

7. საერთო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
მიწოდების ხარჯები	1,250,692	1,971,020
ხელფასები	1,159,771	991,691
ფრანჩაიზის ხარჯი	757,924	849,870
სხვა ხარჯები	672,769	289,620
გაუფასურების რეზერვი	232,264	343,624
საგადასახადო ხარჯი	202,160	207,828
ცვეთა და ამორტიზაცია	123,422	69,621
რემონტის ხარჯი	80,138	101,612
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	31,527	21,143
საოფისე ხარჯები	21,307	15,695
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები	19,027	16,710
ლაბორატორიის ხარჯები	17,690	24,378
საკომისიო ხარჯები	16,146	18,951
საწვავის ხარჯები	12,211	13,343
საკონსულტაციო ხარჯები	9,255	9,288
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	4,606,303	4,944,394

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

8. წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან

კომპანიის წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
არარეალიზებული საკურსო ზარალი	5,523,309	2,452,318
რეალიზებული საკურსო ზარალი	5,351	110,961
სულ წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	5,528,660	2,563,279

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანს- პორტი საშუალებები	ოფისის აღჭურვი- ლობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავ - რებელი მშენებლობა	სხვა	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>										
იანვარი 1, 2019	1,930,000	10,609,727	10,148,595	230,592	116,897	457,922	3,411	584,603	981	24,082,728
შემოსვლა	-	-	155,097	-	22,845	68,410	-	484,894	131	731,377
შიდა მოძრაობა	-	463,711	603,615	-	-	-	-	(1,067,326)	-	-
გასვლა	-	-	(13,321)	-	-	(7,607)	-	(2,171)	-	(23,099)
დეკემბერი 31, 2019	1,930,000	11,073,438	10,893,986	230,592	139,742	518,725	3,411	0	1,112	24,791,006
შემოსვლა	-	3,527	-	119,326	14,849	55,793	-	268,956	-	462,451
შიდა მოძრაობა	-	155,901	(118,471)	155,097	-	-	-	(192,527)	-	-
გასვლა	-	(100)	-	-	-	(576)	-	-	-	(676)
დეკემბერი 31, 2020	1,930,000	11,232,766	10,775,515	505,015	154,591	573,942	3,411	76,429	1,112	25,252,781
<i>დაგროვილი ცვეთა</i>										
იანვარი 1, 2019	-	(974,702)	(1,203,436)	(45,158)	(77,632)	(134,717)	(1,649)	-	(401)	(2,437,695)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(553,727)	(631,875)	(17,167)	(19,700)	(60,529)	(487)	-	(198)	(1,283,683)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	13,321	-	-	6,638	-	-	-	19,959
დეკემბერი 31, 2019	-	(1,528,429)	(1,821,990)	(62,325)	(97,332)	(188,608)	(2,136)	-	(599)	(3,701,419)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(563,856)	(636,690)	(32,249)	(15,105)	(69,318)	(299)	-	(225)	(1,317,742)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2020	-	(2,092,285)	(2,458,680)	(94,574)	(112,437)	(257,926)	(2,435)	-	(824)	(5,019,161)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>										
იანვარი 1, 2019	1,930,000	9,635,025	8,945,159	185,434	39,265	323,205	1,762	584,603	580	21,645,033
დეკემბერი 31, 2019	1,930,000	9,545,009	9,071,996	168,267	42,410	330,117	1,275	-	513	21,089,587
დეკემბერი 31, 2020	1,930,000	9,140,481	8,316,835	410,441	42,154	316,016	976	76,429	288	20,233,620

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შემდეგი ძირითადი საშუალებებით (ნეტო საბალანსო ღირებულებით): მიწა 1,930,000 ლარის; მანქანა დანადგარები 4,340,917 ლარის.

10. აქტივის გამოყენების უფლება

კომპანიას საიჯარო ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული იმ შენობაზე, რომლებსაც თავის საქმიანობაში იყენებს. იჯარის ვადები, როგორც წესი, ერთიდან 5 წლამდეა. კომპანიის საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. კომპანიას აქვს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებზეც იყენებს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს.

კომპანიას არ გამოუვლენია ხელშეკრულებები, რომლებიც ფიქსირებული გადახდების გარდა შეიცავს ისეთ ცვალებად გადახდებსაც, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

კომპანიის აქტივის გამოყენების უფლება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	შენობა-ნაგებობები	სულ
<i>ღირებულება</i>		
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-
მატება	223,313	223,313
იჯარის მოდიფიკაცია		
2020 წლის 31 დეკემბერი	223,313	223,313
<i>დაგროვილი ამორტიზაცია</i>		
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-
მიმდინარე წლის ამორტიზება	(44,663)	(44,663)
2020 წლის 31 დეკემბერი	(44,663)	(44,663)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>		
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	178,650	178,650

11. მარაგები

კომპანიის მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
მზა პროდუქცია	677,371	2,796,058	631,744
ნედლეული და სხვა დამხმარე მასალები	2,201,986	3,556,871	2,032,105
სათადარიგო ნაწილები	423,048	395,851	453,111
სულ მარაგები	3,302,405	6,748,780	3,116,960

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	6,139,681	3,019,138	2,071,414
გადახდილი ავანსები	263,337	153,263	98,018
სხვა მოთხოვნები	2,733	4,991	-
გაუფასურების რეზერვი	(575,888)	(343,624)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,829,863	2,833,768	2,169,432

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	(343,624)	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	(232,264)	(343,624)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(575,888)	(343,624)

კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს გაწეული ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში. ამ რეზერვის მთავარი კომპონენტები მოიცავს ზარალის სპეციფიკურ კომპონენტს, რომელიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებებს და კოლექტიური

ზარალის კომპონენტს უკავშირდება, რომელიც დგინდება მოთხოვნის ვადაგადაცილებიდან ჩამოწერამდე თანმიმდევრულ ეტაპებს შორის გადასვლის ალბათობაზე დაფუძნებული, პატარა ნაშთების დიდი ოდენობისთვის.

კომპანიამ დანერგა ფას 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ კომპანია აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სარეზერვო ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ კომპანია არ მიიღებს დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას იმისას, რომ შეუძლებელია მართებული თანხის ამოღება; ასეთ შემთხვევაში, თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში. კომპანიას სჯერა, რომ არ არის აუცილებელი გაუფასურების რეზერვი ვადაგადაცილებულ სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში, გარდა უკვე გათვალისწინებულისა.

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები სალაროში (ლარში დენომინირებული)	-	-	12
მოთხოვნისას გადასახადელი საბანკო ბალანსები:	2,605,628	615,066	1,280,255
ლარში დენომინირებული	382,756	581,560	1,178,069
აშშ დოლარში დენომინირებული	2,166,390	30,746	102,186
ევროში დენომინირებული	56,482	2,760	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,605,628	615,066	1,280,267

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკებსა და ფინანსური ინსტიტუტებში, რომლებსაც Fitch- ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ შეფასებები BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (მოკლევადიანი რეიტინგი). კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	10,049,744	10,352,153	7,423,816
გადასახდელი ხელფასები	-	13,856	2,652
მიღებული ავანსები	553,336	-	130,368
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,603,080	10,366,009	7,556,836

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა.

15. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი:			
მიღებული სესხები			
სს თბს ბანკი	1,901,118	-	-
დაიამანდ ფაინანს ლიმიტედი	10,232,304	8,561,537	7,580,565
სს ვთბ ბანკი	-	1,924,783	2,166,127
	12,133,422	10,486,320	9,746,692
მოკლევადიანი:			
მიღებული სესხები			
სს თბს ბანკი	6,947,992	-	-
შომუროდ ილიასოვი	14,744,700	12,904,650	12,580,020
სს ვთბ ბანკი	-	6,131,249	2,225,235
	21,692,692	19,035,899	14,805,255

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები დაფარვა მოხდება 2021 წლის განმავლობაში, ხოლო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები 2024 წელს. საპროცენტო განაკვეთები ყველა სესხისთვის არის ფიქსირებული და მერყეობს ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისთვის 7%-13 % - მდე, ხოლო ფიზიკური პირებისთვის 9.5% -23% -მდე.

ძირითადი საშუალებები ჩადებულია მიღებული სესხების უზრუნველყოფაში (დეტალები განმარტებულია მე-10 შენიშვნაში).

მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-23 შენიშვნაში.

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ფინანსური ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების მოძრაობა:

	2020	2019
1 იანვრის მდგომარეობით	29,522,219	24,551,947
სესხის აღება	10,617,675	7,151,386
გადახდილი ძირი	(10,965,711)	(4,522,271)
გადახდილი პროცენტები	(1,371,467)	(1,185,425)
საკურსო სხვაობის ეფექტი	4,213,072	1,932,895
საპროცენტო ხარჯი	1,810,326	1,593,687
31 დეკემბრის მდგომარეობით	33,826,114	29,522,219

16. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულების ცვლილება 2020 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020
1 იანვრის მდგომარეობით	-
დამატებები წლის განმავლობაში	223,313
იჯარის მოდიფიცირება	-
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული დარიცხული საპროცენტო ხარჯი	12,862
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(12,862)
გადახდები წლის განმავლობაში	(20,396)
კურსთაშორის სხვაობა	16,768
31 დეკემბრის მდგომარეობით	219,685

17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2020 წლის დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

18. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს(სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნებისა რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019	1 იანვარი, 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	6,406,170	3,177,811	2,169,432
ფული ბანკში	2,605,628	615,066	1,280,255
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	9,011,798	3,792,877	3,449,687

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში 13.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

18. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2020	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	382,756	56,482	2,166,390	2,605,628
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,566,526	-	-	5,566,526
სულ ფინანსური აქტივები	5,949,282	56,482	2,166,390	8,172,154
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>				
მიღებული სესხები	-	-	33,826,114	33,826,114
საიჯარო ვალდებულებები	-	-	219,685	219,685
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,761,142	223,691	8,064,911	10,049,744
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,761,142	223,691	42,110,710	44,095,543
ღია სავალუტო პოზიცია	4,188,140	(167,209)	(39,944,320)	

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი, 2019	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	581,560	2,760	30,746	615,066
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,680,505	-	-	2,680,505
სულ ფინანსური აქტივები	3,262,065	2,760	30,746	3,295,571
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>				
მიღებული სესხები	5,744,200	-	23,778,019	29,522,219
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,277,260	201,512	8,887,237	10,366,009
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,021,460	201,512	32,665,256	39,888,228
ღია სავალუტო პოზიცია	(3,759,395)	(198,752)	(32,634,510)	

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

1 იანვარი, 2019	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,178,080	-	102,187	1,280,267
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,071,414	-	-	2,071,414
სულ ფინანსური აქტივები	3,249,494	-	102,187	3,351,681
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>				
მიღებული სესხები	-	-	24,551,947	24,551,947
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,708,380	112,626	5,182,494	7,003,500
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,708,380	112,626	29,734,441	31,555,447
ღია სავალუტო პოზიცია	1,541,114	(112,626)	(29,632,254)	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	დოლარის ეფექტი 2020		ევროს ეფექტი 2020		დოლარის ეფექტი 2019		ევროს ეფექტი 2019	
	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
მოგება/ ზარალი	(7,988,864)	7,988,864	(33,442)	33,442	(6,526,902)	6,526,902	(39,750)	39,750

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

18. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიზნულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, შედეგად კომპანიას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

31 დეკემბერი, 2020	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,605,628	-	2,605,628
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,566,526	-	5,566,526
სულ ფინანსური აქტივები	8,172,154	-	8,172,154
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,049,744	-	10,049,744
მიღებული სესხები	21,692,692	12,133,422	33,826,114
სულ ფინანსური ვალდებულებები	31,742,436	12,133,422	43,875,858
ლიკვიდურობის გარღვევა	(23,570,282)	(12,133,422)	(35,703,704)

31 დეკემბერი, 2019	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	615,066	-	615,066
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,842,832	-	2,842,832
სულ ფინანსური აქტივები	3,457,898	-	3,457,898
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,366,009	-	10,366,009
მიღებული სესხები	19,066,137	10,456,082	29,522,219
სულ ფინანსური ვალდებულებები	29,432,146	10,456,082	39,888,228
ლიკვიდურობის გარღვევა	(25,974,248)	(10,456,082)	(36,430,330)

1 იანვარი, 2019	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,280,267	-	1,280,267
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,071,414	-	2,071,414
სულ ფინანსური აქტივები	3,351,681	-	3,351,681
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,426,468	-	7,426,468
მიღებული სესხები	14,805,255	9,746,692	24,551,947
სულ ფინანსური ვალდებულებები	22,231,723	9,746,692	31,978,415
ლიკვიდურობის გარღვევა	(18,880,042)	(9,746,692)	(28,626,734)

18. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკის სამართვად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები. კომპანიის ფულადი რესურსები მეტია ვიდრე მისი საჭიროება ფულად გასავლებზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და

გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით. კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკებზე დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს გავითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საკანონმდებლო რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვან გავლენას შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“
 ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

19. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2020		
	შვილობილი საწარმოები	მშობელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	23,916
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	-	10,232,304
31 დეკემბერი 2019			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	21,053
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	-	8,531,299
1 იანვარი 2019			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	19,716
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	-	7,580,565
31 დეკემბერი 2020			
სრული შემოსავლის ანგარიშგება	შვილობილი საწარმოები	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-	-	448,279
31 დეკემბერი 2019			
სრული შემოსავლის ანგარიშგება	შვილობილი	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-	-	699,176

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2020 და 2019 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში (შენიშვნა 8):

	2020	2019
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები	121,111	65,647

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობის ანგარიშგება

2020 წელი

შინაარსი

1. საქმიანობის მიმოხილვა	3
2. ორანიზაციული სტრუქტურა	3
4. არა-ფინანსური მაჩვენებლები/ადამიანური რესურსები	3
5. ფინანსური მაჩვენებლები	5
6. მისია	6
7. რისკ ფაქტორები	6
8. სამომავლო გეგმები	6

(ქართული ლარი)

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა არის ცემენტის, ბეტონისა და კლინკერის წარმოება და რეალიზაცია საქართველოში საცალო და საბითუმო ბაზარზე. კომპანია ფლობს ცემენტის ქარხანას ქ. ფოთში და შესაბამისად ოპერირებს ძირითადად დასავლეთ საქართველოში. კომპანიას ძირითად აქტივებს წარმოადგენს მიწა ქ. ფოთში, ადმინისტრაციული შენობა, საწარმოო შენობები და ცემენტის საწარმოო დანადგარები.

კომპანიას აქვს გაფორმებული ტექნიკური მხარდაჭერის შეთანხმება (ფრანჩიზა) ლაფარჯკოლციმთან, რომელიც არის საერთაშორისო, მსოფლიოში ლიდერი კომპანია ცემენტის, ბეტონის და სამშენებლო მასალების ინდუსტრიაში. ეს კომპანიას აძლევს დამატებით შესაძლებლობებს, რომ აწარმოოს უმაღლესი დონის პროდუქცია, იზრუნოს შეთავაზებული პროდუქციის განვითარებაზე, მუდმივად აკონტროლოს მაღალი ხარისხი და იყოს ლიდერი ბაზარზე მრავალი მიმართულებით. კომპანია საქართველოში სამეწარმეო საქმიანობას ეწევა 2016 წლიდან.

2. ორგანიზაციული სტრუქტურა

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“ დაფუძნდა 31/08/2012 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ., N 34, (ნაკვეთი N37).

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეინოსო, HE 306208, კვიპროსი.

3. არა-ფინანსური მაჩვენებლები/ადამიანური რესურსები

კომპანია „საქართველოს ცემენტის კომპანია“-ში დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომლების განვითარებას და მათი პოტენციალის გამოვლენას, რაც მუდმივი განვითარებისა და სწავლების საშუალებით მიიღწევა. კომპანიისთვის აუცილებელია თითოეულ თანამშრომელს მიეცეს თანაბარი შანსი საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენაში და ამით ხელი შეუწყოს როგორც საკუთარი თავის, ისე კომპანიის განვითარებას.

(ქართული ლარი)

4. ფინანსური მაჩვენებლები

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

	2020	2019
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	52,153,251	52,111,949
თვითღირებულება	(45,011,273)	(47,991,971)
საერთო მოგება	7,141,978	4,119,978
საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(4,606,303)	(4,944,394)
საოპერაციო მოგება	2,535,675	(824,416)
წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	193,120	88,294
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	(5,528,660)	(2,563,279)
ფინანსური ხარჯი	(1,850,235)	(1,560,050)
ზარალი დაბეგვრამდე	(4,650,101)	(4,859,451)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის წმინდა ზარალი	(4,650,101)	(4,859,451)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი	(4,650,101)	(4,859,451)

(ქართული ლარი)

5. ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

	2020	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	20,233,620	21,089,587	21,645,033
არამატერიალური აქტივები	68,916	76,982	53,386
აქტივის გამოყენების უფლება	178,650	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	20,481,186	21,166,569	21,698,419
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	3,302,405	6,748,780	3,116,960
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,829,863	2,833,768	2,169,432
საგადასახადო აქტივი წმინდა	677,187	1,421,536	1,600,645
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,605,628	615,066	1,280,267
სულ მიმდინარე აქტივები	12,415,083	11,619,150	8,167,304
სულ აქტივები	32,896,269	32,785,719	29,865,723
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12,133,422	10,486,320	9,746,692
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	12,133,422	10,486,320	9,746,692
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,603,080	10,366,009	7,556,836
საიჯარო ვალდებულებები	219,685	-	-
მიღებული სესხები	21,692,692	19,035,899	14,805,255
სულ მიმდინარე ვალდებულებები	32,515,457	29,401,908	22,362,091
სულ ვალდებულებები	44,648,879	39,888,228	32,108,783
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9,280,740	9,280,740	9,280,740
დაგროვილი ზარალი	(21,033,350)	(16,383,249)	(11,523,800)
სულ კაპიტალი	(11,752,610)	(7,102,509)	(2,243,060)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	32,896,269	32,785,719	29,865,723

(ქართული ლარი)

ძირითადი კოეფიციენტები გამოიყურება შემდეგნაირად:

	2020	2019
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (Current Ratio)	0.38	0.4
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	0.28	0.17
ერთობლივი მოგების მარჟა (Gross Profit Margin)	14%	8%

6. რისკ ფაქტორები

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“ ცემენტს აწარმოებს და რეალიზაციას მთლიანად ახორციელებს საქართველოს ბაზარზე, უმეტესწილად დასავლეთ საქართველოში. შესაბამისად, საქართველოს ცემენტის ბაზრის სტაბილურობა წარმოადგენს კომპანიის განვითარებისა და მიზნების მიღწევის წინაპირობას. ცემენტის გაყიდვების სეზონურობის გათვალისწინებით კომპანიას ლიკვიდურობა კლებულობს ზამთრის სეზონის განმავლობაში, განმავლობაში, თუმცა ეს არ ქმნის კომპანიის კრედიტორებისთვის საფრთხეს, რადგან შესაბამისად კომპანიას სჭირდება ნაკლები საბრუნავი კაპიტალი დაბალ სეზონზე, და სარგებლობს კონსიგნაციით ნედლეულის ძირითადი მომწოდებლებისგან.

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია: სავალუტო რისკები, რადგან კომპანიის საქმიანობის ძირითადი პროდუქტის, ცემენტის დასამზადებლად, გამოიყენება ნედლეული(კლინკერი), რომელიც იმპორტირებულია და ფასი განიზაზღვრება დოლარში. ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს. ასევე, სავალუტო რისკების დაბალანსირებისთვის, კომპანიის მენეჯმენტმა 2021 წლის აგვისტოში ბანკთან დადო ხელშეკრულება ფორვარდული გარიგება, რითაც მეტწილად დააზღვია აღნიშნული სავალუტო რისკები.

ორგანიზაციის მენეჯმენტი დადებითად აფასებს 2020 წლის შედეგებს მიუხედავად ახალი კორონა ვირუსისგან გამოწვეული პანდემიისა და პერსპექტივაშიც დადებით დინამიკისა ელის. მომდევნო წლებში მენეჯმენტი უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას და კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითს.

თევდორე ფარცვანია

დირექტორი

თბილისი, საქართველო

(ქართული ლარი)

ძირითადი კოეფიციენტები გამოიყურება შემდეგნაირად:

	2020	2019
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (Current Ratio)	0.38	0.4
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	0.28	0.17
ერთობლივი მოგების მარჟა (Gross Profit Margin)	14%	8%

6. რისკ ფაქტორები

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“ ცემენტს აწარმოებს და რეალიზაციას მთლიანად ახორციელებს საქართველოს ბაზარზე, უმეტესწილად დასავლეთ საქართველოში. შესაბამისად, საქართველოს ცემენტის ბაზრის სტაბილურობა წარმოადგენს კომპანიის განვითარებისა და მიზნების მიღწევის წინაპირობას. ცემენტის გაყიდვების სეზონურობის გათვალისწინებით კომპანიას ლიკვიდურობა კლებულობს ზამთრის სეზონის განმავლობაში, განმავლობაში, თუმცა ეს არ ქმნის კომპანიის კრედიტორებისთვის საფრთხეს, რადგან შესაბამისად კომპანიას სჭირდება ნაკლები საბრუნავი კაპიტალი დაბალ სეზონზე, და სარგებლობს კონსიგნაციით ნედლეულის ძირითადი მომწოდებლებისგან.

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია: სავალუტო რისკები, რადგან კომპანიის საქმიანობის ძირითადი პროდუქტის, ცემენტის დასამზადებლად, გამოიყენება ნედლეული (კლინკერი), რომელიც იმპორტირებულია და ფასი განიზაზღვრება დოლარში. ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს. ასევე, სავალუტო რისკების დაბალანსირებისთვის, კომპანიის მენეჯმენტმა 2021 წლის აგვისტოში ბანკთან დადო ხელშეკრულება ფორვარდული გარიგება, რითაც მეტწილად დააზღვია აღნიშნული სავალუტო რისკები.

ორგანიზაციის მენეჯმენტი დადებითად აფასებს 2020 წლის შედეგებს მიუხედავად ახალი კორონა ვირუსისგან გამოწვეული პანდემიისა და პერსპექტივაშიც დადებით დინამიკისა ელის. მომდევნო წლებში მენეჯმენტი უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას და კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითს.

თევდორე ფარცვანია

დირექტორი

თბილისი, საქართველო

